საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990152281694220

№17/1004

11 / მარტი / 2020 წ.

შპს „SINA“-ს (სინა) დირექტორის ალირეზა ჰაჯიანის მინდობილ პირს, ბესიკ ფოფხაძეს,
ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მეფე მირიანის ქ.#9
ტელ:599 93 42 11

ბატონო ბესიკ,

თქვენს 2020 წლის 10 მარტის N1028 წერილზე პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის ხეივანის N40, შპს „SINA“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.034/281) არქეოლოგიური შესწავლის მიზნით გაიცა არქეოლოგიური სამუშაოების N6/17/3 სანებართვო მოწმობა და წარმოდგენილი იქნა ჩატარებული „არქეოლოგიური კვლევის ანგარიში“, რის საფუძველზეც გამოიცა ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2020 წლის 5 მარტის ბრძანება N05/16 „არქეოლოგიურ ობიექტზე ჩატრებული სამუშაობის მიღების შესახებ“. შესაბამისად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ლომიტაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

0105 თბილისი, რუსთაველის გამზირი 3, ტელ.: 998022; ფაქსი: 982129; E-mail: info@museum.ge

# არქეოლოგიური კვლევის ანგარიში

არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი

ზურაბ მახარაძე

№: 04/ა
თარიღი: 07.02.2020

# დიღომში, ადგილ თრელიგორებზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში



ავტორები: გიორგი ბედიანაშვილი და მიხეილ აბრამიშვილი

| 1. ზოგადი ინფორმაცია | |
|---|---|
| **პროექტის სახელი** | არქეოლოგიური გათხრები თრელიგორებზე |
| **არქეოლოგიური გათხრების ადგილი** | ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #40. (სკ. #01.72.14.034/281) |
| **კოორდინატები** | 41.46.04.58 - 44.46.04.78. |
| **არქეოლოგიური გათხრების შემსრულებელი** | საქართველოს ეროვნული მუზეუმი |
| **საველე სამუშაოების ჩატარების ვადები** | 13-25 თებერვალი, 2020 წელი |
| არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა: | არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა ნ/17/3 გაცემული 03.02.2020 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პაატა გაფრინდაშვლის მიერ |
| **პროექტის ავტორი** | გიორგი ბედიანაშვილი |
| **პროექტში მონაწილე სპეციალისტები** | მიხეილ აბრამიშვილი, გიორგი გოგოლაძე, სალომე მარკოზია, გურანდა ფხოველიშვილი |
| **ობიექტის აგეგმა და გეოინფორმაციული სისტემა** | ავტორი: ლევან ჯორჯაძე<br>ჩატარების თარიღი: 13-25 თებერვალი, 2020 |
| **არქეოლოგიური სამუშაოების მოცულობა** | საპროექტო ტერიტორიის მთლიანმა ფართობმა შეადგინა 800კვ.მ. |
| **პროექტის დამკვეთი** | შპს. „SINA“ |

# სარჩევი


**1.ზოგადი ინფორმაცია ..... 2**

**2.არქეოლოგიური ობიექტის ზოგადი დახასიათება ..... 3**

**3.მეთოდოლოგია ..... 3**

**4. ჩატარებული სამუშაოები ..... 4**

თხრილი 1 -..... 4

თხრილი 2..... 5

თხრილი 3..... 5

თხრილი 4 ..... 5

თხრილი 5..... 5

თხრილი 6 ..... 6

თხრილი 7..... 6

ნაგებობა 1..... 7

ნაგებობა 2 და 3..... 8

ნაგებობა 4..... 8

კვადრატი B2..... 9

**დასკვნა..... 9**

**ტაბულები..... 12**

## 2. არქეოლოგიური ობიექტის ზოგადი დახასიათება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თრელიგორების ნასახლარის I გორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ზოგადად თრელიგორებზე, რომელიც ორ ბორცვს მოიცავს (თრელიგორები I და II. ტაბ.1) 1960-იანი წლებიდან მოყოლებული ინტენსიური არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს. შედეგად გამოვლენილია ბრინჯაო-რკინის ხანის და გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების პერიოდის არქეოლოგიური ობიექტები[1]. განსაკუთრებით მრავლად არის შესწავლილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნაგებობები და სათავსოები, რომელთა რაოდენობა I გორაზე 55-ს აღემატება. ასევე აღსანიშნავია, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით არსებული ჩალიპირაგორები, სადაც ვრცელდება როგორცგვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარის ნეშთები, ასევე ანტიკური ხანის და შეასაუკუნეების პერიოდის არქეოლოგიური ობიექტები და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამაროვანი [2]. საპროექტო ტერიტორიის უშუალოდ მომიჯნავედ (სკ. #01.72.14.034/021), 2009 წელს შესწავლილ იქნა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნაგებობები.[3]

## 3. მეთოდოლოგია

თრელიგორებზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების მეთოდოლოგია სრულად შეესაბამება, კვლევის მიზნებს, რომელიც გულისხმობს საპროექტო ტერიტორიაზე გათხრილი ობიექტების და იქ მოპოვებული მასალის დეტალურ ტექსტურ, ფოტო და გრაფიკულ დოკუმენტაციას და მულტიდისციპლინარული კვლევებისთვის შესაბამისი სინჯების საანალიზოდ აღებას. სადაზვერვო ხასიათის ჭრილების გასავლებად და არაკულტურული მიწის ფენების მოსახსნელად,

---

[1] აბრამიშვილი, რ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები I. თბილისი:"მეცნიერება. 1978"

[2] Р. Абрамишвили, Н. Окропиридзе, М. Абрамишвили, Н.Гигуашвили, И.Султанишвили, М.Гамехардашвили, Н.Ахведиани, Н.Даташвили. Археологические раскопки в Тбилиси. *Полевые археологические исследования в 1983. Тбилиси: «Мецниереба» 1986.* Ст17-20.

[3] ბედიანაშვილი, გ. არქეოლოგიური გათხრები თრელიგორებზე. არქელოგიური კვლევის ანგარიში წარდგენილი კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოში. თბილისი 2009.

მუშახელის გარდა გამრდა გამოყენებულ იქნა მექანიზაცია, კერძოდ, 20-ტონიანი ექსკავატორი.

სამუშაოების დაწყებამდე, შესასწავლი ტერიტორია დაკვადრატდა 10მx10მ-ზე ბადით. ბადეზე ციფრებით აღინიშნა დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზი, ხოლო ანბანურად, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზი. თითოეული კვადრატი, სამუშაოების შემდგომი უფრო დეტალური აღწერისთვის, დაიყო ოთხ თანაბარ ნაწილად (5მx5მ-ზე). მაგალითად, A1.1; B2.1; B2.3 და A2.4. საველე სამუშაოების დოკუმენტაციის ძირითად საყრდენს წამროადგენდა, გათხრილი ფენების ნუმერიზაცია. თრელიგორების ნამოსახლარის სხვადასხვა თხრილში გათხრილ თითოეულ ფენას უნიკალური ნომერი ენიჭებოდა და არ იმეორებდა ერთიმეორეს. ფენების დანომვრის აღნიშნული მეთოდის მიზანს წარმოადგენს ნამოსახლარზე გამოვლენილი ყველა ფენის უკეთ განსაზღვრა და საბოლოოდ მათი ერთიანი სტრატიგრაფიული მატრიცის შექმნა. არქეოლოგიური სამუშაოების დროს, აღმოჩენილი მასალა აღირიცხებოდა სახეობების მიხედვით, როგორიცაა, კერამიკა, ძლოვანი მასალა, ქვის ნივთები და სხვ. გარდა მასალის დანომვრისა, მათი უკეთ იდენტიფიცირებისთვის, მოპოვებული მასალის ეტიკეტზე იწერებოდა ასევე ფენის და კვადრატის ნომრები. არქეოლოგიური გათხრების აღწერა ხდებოდა დღეების მიხედვით.

## 4. ჩატარებული სამუშაოები

ჩატარებული სამუშაოები შედგება ორი ეტაპისგან. პირველი ეტაპი ითვალისწინებდა საპროექტო ტერიტორიაზე არქეოლოგიური ობიექტ(ებ)ის არსებობის დადასტურებას და მისი გავრცელების არეალის დადგენას. ამ მიზნით, საპროექტო ტერიტორიაზე, ექსკავატორის საშუალებით გაივლო შვიდი საცდელი თხრილი, სადაც მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

თხრილი №1 (ტაბ .IV.1)

თხრილი გაივლო ნაკვეთის უკიდურეს SW მხარეს, დამხრობით WE- SN ხაზზე, ზომით 6,3X1.3 მ-ზე. იგი მოიცავს ორ დონეს, თხილის ნიადაგი, ორივე დონეზე, მოწითალო-მოყვითალო შეფერილობისაა.

თხრილი №2 (ტაბ .IV.2)
თხრილი გაივლო ნაკვეთის SW ნაწილში, №1 თხრილის E მხარეს, დამხრობით SN-WE ხაზზე, ზომით 4,7მX1.3მ-ზე. თხრილი სიღრმით 2.4 მ. აღმოსავლეთ ჭრილში მცირედ შეინიშნება წვრილი ქვის ჩანართები, თუმცა ის უნდა წარმოადგენდეს არა არქეოლოგიურ, არამედ გეოლოგიური ხასიათის კონგლომერატს. ნიადაგი მოწითალო შეფერილობისაა. არქეოლოგიური არტეფაქტები აღნიშნულ თხრილში არ გამოვლენილა.

თხრილი №3 (ტაბ .V.1)
თხილი გაივლო ნაკვეთის უკიდურეს SE მხარეს, დამხრობით SN-WE ხაზზე, ზომით 8,9მX1.5მ-ზე. იგი მოიცავს ორ დონეს, პირველი სიღრმით 0.9 მ და მეორე 3.5 მ. პირველ დონეზე გამოვლინდა კერამიკისა და დამწვარი ფენის ნაშთი, ქვის ჩანართებით. ნიადაგი მოყავისფრო-მოშავო შეფერილობისაა, ხოლო მეორე დონე სრულად წარმოადგენს არქეოლოგიურად სტერილურ, წითელი შეფერილობის ნიადაგს. აღნიშნული თხრილის პირველი დონე სავარადაუდოდ უნდა წარმოადგენდეს, შემდგომში განხილული თხრილი №5-ის იატაკის დონეს.

თხრილი №4 (ტაბ .V.2)
თხრილი გავლებულია ნაკვეთის უკიდურეს NE ხაზზე, დამხრობით EW-SN. ზომით 6,6მX1,3მ-ზე, რომლის სიღრმე - 2.3 მ შეადგენს. ნიადაგი ამ თხრილში მოწითალო-მოყავისფროა. თხრილში არ დადასტურდა რაიმე არქეოლოგიური ობიექტი

თხრილი №5 (ტაბ .VI.1)
აღნიშნული თხრილი მოიცავს ნაკვეთის ცენტრალურ ნაწილს და იგი წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ყველაზე საინტერესო მონაკვეთს, რომელშიც დადასტურდა რამდენიმე კედელი. ეს კედლები განსხვავებულ სამშენებლო ტიპსა და პერიოდს განეკუთვნება. კედელი №1, რომელიც სიგრძით 11 მ-ს უტოლდება და სიგანით 1-1,1 მ-ს, დამხრობილია S-N მიმართულებით და წარმოადგენს ყველაზე მასიურ ნაგებობას. მის ასაგებად საგანგებოდ შერჩეული და უხეშად გათლილი ქვებია გამოყენებული (მათი საშუალო ზომა 40x40 სმ-ა). კედელი ორივე S და N მხრიდან შემოსაზღვრულია ასევე მასიური თლილი ქვით ნაგები №2 და №3 კედლებით, რომლებიც 90° კუთხეს ქმნიან აღნიშნულ №1

კედელთან. . კედელი №4 ემიჯნება კედელ №1 და მდებარეობს მის N მხარეს, კედლის დადასტურებული სიგრძე 3.2 მ, ხოლო სიგანე 30-40 სმ. იგი ერთპირადაა ნაგები. კედელში გამოყენებული ქვა და სამშენებლო ტექნიკა განსხვავებულია დანარჩენი კედლებისაგან. თხრილში დიდი რაოდენობით გვხვდება კერამიკის სხვადასხვა ფერისა და ტიპის ფრაგმენტები. დადასტურდა რამდენიმე არქეოლოგიური ფენა.

თხრილი №6 (ტაბ .VI.2)
აღნიშნული თხრილი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის უკიდურეს NW მხარეს. დამხრობილია WE-SN მიმართულებით, ზომებით 3.9მX2მ-ზე. მისი სიღრმე არის 1.3 მ. აღნიშნულ ჭრილში დადასტურდა თანამედროვე, მდარე ხარისხით ნაგები კედლის მცირე ფრაგმენტი და სამშენებლო ნარჩენები. არქეოლოგიური ფენა და არტეფაქტი ამ ჭრილში არ დადასტურდა.

თხრილი №7 (ტაბ .VI.3)
თხრილი მოქცეულია №1 და №6 თხრილებს შორის და დამხრობილია, როგორც აღნიშნული ორი თხრილი WE-SN მიმართულებით. თხრილის ზომაა 3.5მX2.1მ-ზე, სიღრმე კი 1.7მ. S-ჭრილში შეინიშნება მცირედი ქვის კონცენტრაცია, რომელიც ძალიან ჰგავს გეოლოგიურ კოლაფსს. ნიადაგი არქეოლოგიურად სტერილურია. არქეოლოგიური ობიექტები ამ ჭრილში არ გამოვლენილა.

ზემოაღნიშნული თხრილების გავლების შედეგად დადასტურდა არქეოლოგიური ობიექტი, კერძოდ ნაგებობის ფრაგმენტები, რომელიც ლოკალიზირებულია საპროექტო ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში. მოპოვებული შედეგების საფუძველზე, გადაწყდა გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტების სრულად შესწავლა., ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა ოთხი ნაგებობის ფრაგმენტი და მასთან დაკავშირებული კულტურული ფენები (ტაბ.VIII). ქვემოთ დეტალურად არის განხილული თითოეული არქეოლოგიური ობიექტი.

ნაგებობა № 1 *(კვადრატები: C1.1;C1.2;B1.3 და B2.4. )*

I ეტაპის სამუშაოების დროს ნაგებობა № 1 აღმოჩნდა თხრილ №5-ში. მისი ზურგის კედელი დამხრობილია S-N ხაზზე, რომლის სიგრძე 11 მ-ს შეადგენს (ტაბ.X). აღნიშნული კედელი ცენტრალურ ნაწილში დაზიანებულია. კარგად არის შემორჩენილი № 1 ნაგებობის სამხრეთი კედელი. მისი სიგრძე შეადგენს 4 .10მ.-ს, ხოლო მისი პარალელური ჩრდილოეთი კედელი 4.30 მ-ია.

ნაგებობა №1 კედლები მშრალი წყობით არის ნაგები, რომლებიც უხეშადდამუშავებული მონაცრისფრო ფერის ქვიშაქვებისგან შედგება. ქვების საშუალო ზომა 40x40 სმ-ზეა. ნაგებობის სამივე კედელში ქვების მხოლოდ ორი რიგია შემორჩენილი.

ნაგებობა № 1 გათხრისას დაფიქსირდა ექვსი სხვადასხვა ფენა: *I ფენა* მოიცავს ნაგებობა № 1 თითქმის მთელ ტერიტორიას და იწყება კედლის ზედაპირიდან. იგი შედგება, შედარებით ფხვიერი, ღია ყავისფერი თიხნარისგან, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით მცირე ზომის ქვებს. აღნიშნული ფენის შესწავლისას დაფიქსირდა სხვადასხვა პერიოდის კერამიკის ფრაგმენტები; *II ფენა* ლოკალიზებულია ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში, სადაც დასავლეთი კედელია დაზიანებული. იგი შედგება მოყვითალო ფერის რბილი თიხნარისგან, რომელიც შეიცავს, ნახევრად დამუშავებული დიდი ზომის ქვებს. ეს ფენა წარმოქმნილია ნაგებობის ცენტრალური ნაწილის დაზიანების შედეგად; *III ფენა* ვრცელდება ნაგებობის სამხრეთ ნაწილში. იგი შედგება, მკვრივი, მოყავისფრო თიხნარისგან, რომელიც დიდი რაოდენობით სხვადასხვა ზომის ქვებს შეიცავს. აღნიშნული ფენა დაკავშირებულია ნაგებობის კედლის ძირთან, რაც, სავარაუდოდ, მისი დაზიანებული იატაკის დონეს უნდა წარმოადგენდეს; *IV ფენა* დაფიქსირდა ნაგებობის სამხრეთ ნაწილში III ფენის ქვევით და, შესაბამისად, ვრცელდება კედლის ქვეშ. იგი წარმოადგენს დამწვარ ფენას, რომელიც შეიცავს კერამიკის ფრაგმენტებს. სავარაუდოდ IV ფენა ნაგებობა № 1-ზე ადრეული პერიოდის უნდა იყოს; *V ფენა* დაფიქსირდა ნაგებობა № 1 ჩრდილოეთ ნაწილში. იგი შედგება დიდი ზომის ნაყარი ქვებისგან, რომელიც, სავარაუდოდ, ნაგებობის კედლიდან უნდა იყოს გადმოშლილი; *VI ფენა* გამოვლინდა ნაყარი ქვების აღების შემდეგ,

ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ. იგი შედგება მოყავისფრო თიხნარისგან და დაკავშირებული უნდა იყოს ნაგებობის იატაკთან. ამ ფენაში კერამიკული მასალა არ დაფიქსირებულა.

ნაგებობა № 2 და № 3 (*კვადრატები: B2.1;B1.2 და B1.3*)

ნაგებობა № 2 მხოლოდ ერთი კედლით არის წარმოდგენილი. მისი შემორჩენილი სიგრძე 4.5 მ-ია, ხოლო სიმაღლე - 0.74 მ. იგი ნაგები ყოფილა ძირითადად რიყის ქვებით, უდუღაბოდ (ტაბ.XII.2). სამხრეთი მხრიდან ნაგებობა № 2-ის კედელი ემიჯნება ნაგებობა № 1-ის ჩრდილოეთ ნაწილს. იგი ამ ნაგებობასთან მიმართებით პერპენდიკულარულად არის განლაგებული და დამხრობილია NW-SE მიმართულებით. სავარაუდოდ, ნაგებობა № 2 ნაგებობა № 1-ის მიერ არის დაზიანებული, და მასზე ადრეულ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს.
ნაგებობა № 3 მხოლოდ ერთი კედლით არის წარმოდგენილი. იგი მდებარეობს ნაგებობა № 2 კედლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით, ორი მეტრის და დამხრობილია N-S მიმართულებით. როგორც ნაგებობა № 2, აღნიშნული კედელიც მშრალი წყობით არის ნაგები, სადაც, ძირითადად, რიყის ქვებია გამოყენებული. კედლის შემორჩენილი სიმაღლე 0.90 მ-ია სიგრძეში კედელი 3.80 მ-ია. კედლის წინ, აღმოსავლეთით, მისი ძირის (იატაკის) დონეზე, დაფიქსირდა ქვების ყრილი, რომელიც, სავარაუდოდ, ამ კედლის გადმონგრევის შედეგად წარმოიშვა.

ნაგებობა № 4 (*კვადრატები: A2.4 და A2.3*)

ნაგებობა № 4 მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში (ტაბ. XIII;XIV;XV;XVI) იგი შედგება ორი კედლისგან, რომელიც შესწავლილი ტერიტორიის გარეთ გრძელდება. ნაგებობის პირველი კედელი E-W ხაზზეა დამხრობილი. იგი რიყის ქვებით, უდუღაბოდ არის ნაგები. მისი სიგრძე 8.30 მ-ია, ხოლო სიმაღლე 1.0-მ-ს უდრის. ნაგებობის გადახურვის საყრდენი ბოძები ამავე კედლის წყობით არის გამაგრებული (ტაბ.XIV). მეორე კედელი N-S-ხაზზეა დამხრობილი და პირველ კედელს უერთდება იქ სადაც გადახურვის ბოძის ერთ-ერთი ადგილია (ტაბ.XVI). ნაგებობა №4-ის მეორე კედელი

ინტერიერის ტიხარია და ნაგებობას ორ - დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად ყოფს. მისი გამოვლენილი სიგრძე 6.10 მ-ია, ხოლო სიმაღლე 0.55 მ-ის ტოლია. აღნიშნული კედელი რიყის ქვეთ და ქვიშაქვით არის ნაგები, დუღაბის გარეშე, მხოლოდ შუა ნაწილში 1 მ სიგრძე კედელი ქვების მაგივრად თიხით არის შევსებული, რომელსაც ზემოდან დამწვარი ძელების ფრაგმენტები ადევს (ტაბ.XV).

ნაგებობა №4 იატაკის დონე, რომელიც გამოვლინდა პირველი კედლის შემორჩენილი ზედაპირიდან 0.90 მ სიღრმეზე, შედგება დამწვარი, მოწითალო ფერის თიხისგან, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ნახშირის ფრაგმენტებს. აღნიშნული იატაკის დონეზე კერამიკული მასალა არ დაფიქსირებულა. იატაკის გამოვლენის შემდეგ, ნაგებობის აღმოსავლეთი ნაწილი ჩაჭრილი იქნა 0.30 მ სიღრმეზე, სადაც, ნაგებობის კედლის ქვევით, გამოვლინდა დამწვარი ფენა. იგი შეიცავდა დიდი რაოდენობით დამწვარი ძელების ფრაგმენტებს. აღნიშნული ფენა იმ ფენის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს რომელიც ნაგებობა №4 გარეთ (კვადრატი B2), მის აღმოსავლეთით იქნა დაფიქსირებული.

კვადრატი B2

გარდა ნაგებობებისა, საპროექტო ტერიტორიაზე გამოვლენილ იქნა ინტენსიური დამწვარი ფენა, რომელიც ვრცელდება B2-ის ოთხივე ნაწილში (ტაბ.XI; XII.2). მას აღმოსავლეთით ესაზღვრება ნაგებობა №2, №3 და №4, ხოლო სამხრეთით, ნაგებობა №1. იგი შეიცავდა როგორც დამწვარ ძელებს ასევე დიდი რაოდენობით კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებს. აღნიშნული დამწვარი ფენა შედიოდა ნაგებობა №2, №3 და №4 ქვეშ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ამ ნაგებობებთან შედარებით ადრეული პერიოდის უნდა იყოს. გამოვლენილ დამწვარ ფენასთან ასოცირდება საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში შესწავლილი დიდი ზომის ქვების წყობის ერთი რიგი, რომლის შემორჩენილი სიგრძე 3.8 მ-ს შეადგენს.

## 5. დასკვნა

საპროექტო ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტი წარმოადგენს თრელიგორების ნასახლარის ნაწილს. კერამიკული მასალის მიხედვით შესწავლილი ნაგებობები და მასთან დაკავშირებული კულტურული ფენები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას ეკუთვნის. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად საპროექტო ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტები სრულად იქნა შესასწავლი. დაფიქსირდა ორი სიახლე, რაც თრელიგორებზე ადრე შესწავლილი ნაგებობებისთვის არ არის დამახასიათებელი. კერძოდ, ნაგებობა №1, რომელიც ნაგებია დიდი ზომის უხეშად დამუშავებული ქვიშაქვით. მისი სიგრძე შეადგენს 11 მეტრს. მას თრელიგორების სხვა შედარებით მცირე ზომის ნაგებობებისგან განსხვავებით, რომლებიც საცხოვრებლად გამოიყენებოდა, განსხვავებული ფუნქცია უნდა ჰქონოდა. აღსანიშნავია ასევე ნაგებობა №4-ის გადახურვის საყრდენი ბოძები, რომლებიც კედლებით არის გამაგრებული. აღნიშნული არქიტექტურული ელემენტი თრელიგორების ნასახლარისთვის არ არის დამახასიათებელი. მას უახლოესი ანალოგი დიდ დიღომში არსებული გვიანბრინჯაოს ხანის საჯოგის ნასახლარზე ეძებნება.

ნაგებობა №4 დიდი ნაწილი ვრცელდება სამშენებლო ტერიტორიის გარეთ, შესაბამისად მისი სრული დაზიანების საფრთხე არ არის. რაც შეეხება ნაგებობა 1-ს, რეკომენდაციის სახით სასურველი იქნება, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, კედლის ქვების აღება, და შემდეგ აშენებულ თანამედროვე შენობის ინტერიერში მათი რესტავრირება.


N
ს ა პ რო ე ქ ტო
ტე რი ტო რი ა
ს /კ 01.72.14.034.281


N
ს ა პ რო ე ქ ტო
ტე რი ტორი ა
ს /კ 01.72.14.034.281
© 2020 Google
Image © 2020 Maxar Technologies


480500
480750
481000
462
4624250
4624000
4623750
N
W
E
S
მასშტაბი 1 : 2 000
721434067
721434069
721432303
721434066
456,6
721434063
721434064
721432195
721434071
721434227
721434223
721434325
721434072
721432193
721434225
474,3
721434074
721434075
721432192
721432191
721434226
721434290
721432212
721434060
721434019
721434059
721434429
721434281
721432217
721432211
721432216
721432210
721434021
721432208
721434024
721432213
721432289
721432214
721434231
721434023
721434057
721434025
721420007
721434051
721420006
721434054
721434391
721434026
721434049
721434053
494,1
721434077
721434045
721434017
721434076
721434044
721434043
721434038
721434039
721434014
721434036
721434034
721434033
721434013
1/7
1/9
16/12
16/15
16/9
16/10
1
2
3
4
დაცვის ალგაშენებელის ხეივანი
სანდრო ახმეტელის ქ.
ს ა პ რ ო ე ქ ტ ო
ტ ე რ ი ტ ო რ ი ა
01.72.14.034.281



საპროექტო ტერიტორია არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე



**თხრილი 1** ხედი აღმოსავლეთიდან



**თხრილი 2.** ხედი აღმოსავლეთიდან



**თხრილი 3.** ხედი სამხრეთიდან



**თხრილი 4.** ხედი ჩრდილოეთიდან



**თხრილი 5**. ხედი აღმოსავლეთიდან



**თხრილი 6**. ხედი დასავლეთიდან



**თხრილი 7**. ხედი აღმოსავლეთიდან




გენ-გეგმა


A1
A2
B1
B2
C1
C2
G
F
E
D
C
B
A
ნაგებობა #4
ნაგებობა #3
ნაგებობა #2
ნაგებობა #1
0
10
20
მასშტაბი
W
N
E
A
D
G
B
E
C
F



X




1



2





1



2



1



2



1



2



3



1



2



1



2



1






2






3






4






5






6



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990188682398820

№05/16 05 / მარტი / 2020 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## არქეოლოგიურ ობიექტზე ჩატარებული სამუშაოების მიღების შესახებ

“საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის”, საქართველოს კანონის “ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ”, საქართველოს კანონის “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” 25-ე მუხლის 2-ე პუნქტის, 52-ე მუხლისა და “კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის #137 დადგენილების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2020 წლის 31 იანვრის #05/5 ბრძანების საფუძველზე გაცემული #ნ/17/3 ნებართვით (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #40 (ს/კ 01.72.14.034/281) არქეოლოგიურ კვლევა-ძიებასთან დაკავშირებული სამუშაოები) განხორციელებული სამუშაოები. (საფუძველი - მიწის მესაკუთრის შპს „SINA“-ს დირექტორის მინდობილი პირის, ბესიკ ფოფხაძის 2020 წლის 28 თებერვლის #860 განცხადება.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროში (თბილისი, უზნაძის ქ. #52).

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე

# არქეოლოგიური სამუშაოების

KA990172913770520

**03 / თებერვალი / 2020 წ.**

## სანებართვო მოწმობა №ნ/17/3

1. **ნებართვის მფლობელი** გიორგი ბედიანაშვილი პ/ნ 01024019036;

2. **სამართლებრივი საფუძველი** : შპს' "SINA"-ს დირექტორის ალირეზა ჰაჯიანის მინდობილი პირის, ბესიკ ფოფხაძის 2020 წლის 30 იანვრის #339 განცხადება და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის 2020 წლის 31 იანვრის #05/5 ბრძანება;

3. **სანებართვო ობიექტი** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის #40, შპს "SINA"-ას კუთვნილი მიწის ნაკვეთი ს/კ01.72.14.034/281;

4. **შესასრულებული სამუშაო** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის #40-ში შპს SINA-ას კუთვნილ ნაკვეთზე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოები. (სამუშაოების წარმოების პროცესში გამოვლენილი კულტურული ფენებისა და არტეფაქტების, ასევე უძრავი ობიექტების ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია);

**5. სამუშაოთა შუალედური ანგარიშების წარდგენის ვადები**

6. **ნებართვის მოქმედება:** 2020 წლის 31 იანვრიდან 2020 წლის 28 თებერვლამდე
საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით;

7. **ნებართვა გაცემულია**: „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
გიორგი
GIORGI
გვარი / LAST NAME
ბედიანაშვილი
BEDIANASHVILI
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
01024019036
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
06.01.1980
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
22.07.2023
ბარათის No / CARD No
13IB14090
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
22.07.2013
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 02/13
სშ-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE013IB14090501024019036<<<<
8001069M2307220GE0<<<<<<<<<<<4
BEDIANASHVILI<<GIORGI<<<<<<<<<